

ნათელი ქრისტესი საქართველო

The Light of Christ Georgia

Свет Христов Грузия

წიგნი 1

რედაქტორი: როინ მეტრეველი

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი • 2003

#566

დამანა მელიქიშვილი

შავი მთიდან გელათამდე

(შავი მთის ქართული მთარგმნელობითი სკოლის ძირითადი პრინციპები)

სირიაში, ანტიოქიის მახლობლად მდებარე შავ მთას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული სამონასტრო ბერ-მონაზვნური ცხოვრებისა და საღვთისმეტყველო-მთარგმნელობითი საქმიანობის ისტორიაში.

IV-VI საუკუნეებში სირიაში ფართოდ გაიშალა ბერ-მონაზვნური ცხოვრება. აქ IV-V საუკუნეებში მოღვაწეობდა ცნობილი ბერი — სვიმეონ მესვეტე, რომელიც გამოირჩეოდა თავისი მკაცრი ასკეტური ცხოვრებით (როგორც ცნობილია, იგი ცხოვრობდა სვეტზე და „დაყო მასზედა ოცდაათი წელი“). სვიმეონის სავანეს დიდძალი ხალხი მიაწყდა და მათ შორის ქართველებიც იყვნენ (თეოდორიტე კვირელი, „თეოფილონ ისტორია“). მისი გარდაცვალების შემდეგ შავ მთაზე გაშენდა წმ. სვიმეონის მონასტერი. VI საუკუნეში კი იქვე, საგანგებოდ აღმართულ სვეტზე ცხოვრობდა მისი მიმდევარი — სვიმეონ მესვეტე უმცროსი. როგორც გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფი, გიორგი მცირე იუწყება, სვიმეონის ლავრაში ქართველნი „პირველთაგანვე თვთ წმიდისა სვიმეონის მიერ [იყვნენ] დამკვდრებულნი“. თვით სვიმეონ საკვირველმოქმედის დროს აქ ქართველთა მოღვაწეობის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის წმ. სვიმეონის დედის, ნეტარი

მართას „ცხოვრება და მოქალაქეობა“ და „ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა სკმეონისი, საკურველმოქმედისა“ (ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის დარგები).

მაგრამ ქართველთა სამონასტრო ცხოვრება და მთარგმნელობითი მოღვაწეობა შავ მთაზე განსაკუთრებული ძალით XI საუკუნის 30-იანი წლებიდან გაჩაღდა, როდესაც აქ, კლდის ერთ ნაპრალში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ქართულ ხელნაწერთა ანდერძ-ნამაგებიდან კარგად ცნობილი „ბერი წმიდაჲ, შეყენებული, ვითარცა გურიტი უბიწოდ და ტრედი უმანკოდ, კაცი ზეცისა და ანგელოზი ქუეყანისაჲ, ყოვლითურთ უცხოდ და განშორებული ჯორცთაგან და ჯორციელთა ზრუნვათა და გონებითა ღმრთისათა — მიცვალეული გიორგის ვიტყვ დაყუდებულსა — დიდსა მას მნათობსა ნათესავისა ჩუენისასა“ (გიორგი მცირე, „ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა“).

სწორედ აქ, ამ საკვირველი მთის ლავრებში ამ ღირსი მამის თაოსნობითა და ძალისხმევით ჩაეყარა საფუძველი „ელინოფილური“ მიმართულების თარგმანს, ბერძნულიდან ქართულად სიტყვასიტყვით თარგმანს, აღჭურვილს სქოლიო-კომენტარებით.

არაერთი ხელნაწერის ანდერძიდან ჩანს, რომ ღირსი მამა გიორგი დაყუდებული მოითხოვდა ადრე თარგმნილ წიგნთა ბერძნულთან შეწამებასა და გამართვას თუ ხელახლა თარგმნას. ასე მაგ., შავი მთის უდიდესი მოღვაწის, ეფრემ მცირის, ერთი ცნობილი ანდერძიდან, რომელიც ერთვის მის მიერ რედაქტირებულ „სამოციქულოს“ წმ. გიორგი ათონელისეულ თარგმანს, ვგებულობთ, რომ გიორგი მთაწმიდელს, რომელიც მისი მოძღვრის, გიორგი დაყუდებულის ზედამხედველობის ქვეშ რამდენიმე ხანს შავ მთაზე მოღვაწეობდა (ჯერ რომანწმიდაში სამი წლის განმავლობაში (1036-39 წწ.) და უფრო გვიან კი სვიმეონწმიდასა და კალიპოსშიც), „პავლენი და დავითნიცა, რომელ ახლად

#567

ეთარგმნნეს, მრავალი სიტყუაჲ ძუელისა ჩუეულებისაჲა მიეყვანა, ვიდრემდის უკუანადსკნელ დიდისა მის მოღუაწისა გიორგი დაყუდებულისა იძულებით ბრძანებითა კუალად უსრულესად და უწმიდესად ეთარგმნნეს“ (ეფრემ მცირე, სამოციქ. თარგმან.). მაგრამ გიორგი მთაწმიდელს, როგორც ჩანს, ბევრი ადგილი, რომელიც „მრავალსა პირსა აღიარებდა“ (მრავალნაირად შეიძლება გადაგებულიყო), ჩვეულებისამებრ, „ძუელისა თარგმანისა და მიუყვანებია“, ამიტომ ეფრემს, თუმცა კი სამოციქულოს ტექსტი, როგორც კი გიორგი ათონელს ეთარგმნა, ისევე გადმოუწერია, რათა „მოწაფობაჲ მისი სრულ-ეყო“, იძულებული გამხდარა ეს თარგმანი შეეჯერებინა დედანთან და შეესწორებინა „ბერძულისა ძალისაებრ, თანაშეწევნითა და წინაძღომითა თარგმანთა (განმარტებათა) და ლექსიკონთაჲთა“ (ეფრემ მცირე, სამოციქ. თარგმ.).

ახალი მთარგმნელობითი მეთოდისა და სტილის ძიებანი ამ ხანის მოღვაწეთა ურთიერთთანამშრომლობითა და შეთანხმებით ხორციელდებოდა. ეფრემ მცირის არაერთი ანდერძი მოწმობს იმავე გიორგი დაყუდებულის, საბა სულაისძე თუხარ(ს)ელის, ანტონ ტბელის, იოანე ფარაკნელის, იოანე ხუცესის, იოანე სვიმეონწმიდელი

დრამატიკოსის (რომელიც, შესაძლებელია, იგივე „იოანე საღმრთო ფილოსოფოსი და კორციელად დრამატიკოსია“, ეფრემ მცირის არეოპაგიტული წიგნებისათვის დართულ ერთ ცნობილ ანდერძში მოხსენიებული, იოანე პეტრიწთან რომ იყო გაიგივებული), დაბოლოს, არსენი იყალთოელის (რომელიც მისი ძალმწე იყო წმ. იოანე დამასკელის „გარდამოცემისა“ და „საფილოსოფიო თავების“ თარგმნისას) დამოკიდებულებას საერთოდ ფილოლოგიური მუშაობისა და, კერძოდ, მთარგმნელობითი საქმიანობისადმი, რაც, ძირითადად, დედნისეული აზრის ზედმიწევნითი სიზუსტით გადმოღებასა და ტექსტის წმიდა მამათა განმარტებებით აღჭურვაში მდგომარეობდა.

რა იყო მიზეზი იმისა, რომ ათონის სკოლისა და, კერძოდ, წმ. ეფთვიმე ათონელისათვის დამახასიათებელი „გამოკრებულ“ და შემატება-კლების მეთოდით შესრულებულმა თარგმანებმა ზუსტი, ადეკვატური მეთოდით თარგმანებს დაუთმო ადგილი?

ეს რამდენიმე მიზეზით იყო გამოწვეული:

წმ. ეფთვიმე ათონელი, რომელიც „ბრწყინვალე მნათობია“ ჩვენი ერისა და ეკლესიისა, საყოველთაოდ აღიარებული დიდოსტატი იყო თარგმანისა („ესე ყოველთა უწყით, ვითარმედ ესევეთარი თარგმანი, თვნიერ წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთვიმისსა, სხუად არა გამოჩენილა ენასა ჩუენსა და, ვკგონებ, თუ არცა გამოჩინებად არს“ (გიორგი მცირე). მან „უმეცრებისა იგი საბურველი მოსძარცვა გონებათაგან ჩუენთა... და სივრცითა და სიმაღლითა ღმრთივთარგმნილთა წმიდათა წიგნთა მისთადა ნაკლულევანებად ენისა ჩუენისადა აღავსო და, რომელნი ესე ბარბაროზ-წოდებულ ვიყვენით ელინთა მიერ უსწავლელობისა და უმეცრებისა ჩუენისა, მათთანავე აღფურაცხნა ღმრთისა მიერ მოცემულითა მით სიბრძნითა თვისითა“ (გიორგი მცირე). იგი საგანგებოდ არჩევდა დედნებსა და წყაროებს, ქრისტიანული მოძღვრების ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებულ გამოკრებილ ადაპტირებულ ტექსტებს სათარგმნელად; ან თვითვე გამოკრებდა მათ (როგორც ეს წმ. იოანე დამასკელის „ცოდნის წყაროსა“ და ანასტასი სინელის „წინამძღვრის“ თარგმნისას გააკეთა) და მზამზარეულ სახელმძღვანელოს, წინამძღვარს აწვდიდა ქართველთ: ეფრემ მცირის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სიჩროებასა ჩუენისა ნათესავისასა სძითა ზრდიდა და მხლითა“. ეფრემ მცირის აზრით, წმ. ეფთვიმე თარგმნიდა რაღაც გარკვეული „განგებულებით“, „ვითა მას ჟამსა შეჰკუანდა“. ამიტომ მას „მაღლითა სულისა წმიდისადათა კელ-ეწიფებოდა შემატებადცა და დაკლებადცა“ (ეფრემ მცირე, „დიალექტიკა“). ასე მაგალითად, იგი წმიდასა და მაგარ ღვინოს, რომელსაც „გრიგოლ ღვთისმეტყველის წიგნი შეიცავდა, აზავებდა წყლით“, ვინაიდან ჩვენი ერი მაშინ „ლიტონი და უსუსური“ იყო: „რამეთუ მას პავლესგან ესწავა ესეა და ურწყულობასა ძლიერისა ამის ღმრთისმეტყველისა წიგნისა ღვინისასა განჰზავებდა წყალთაგან სულიერთა, რაჟამს სიტყუა-სიმოკლე მოძღურისადა განავრცოს ლიტონისა ერისათვს, რამეთუ მაშინ ჩუენი ნათესავი ლიტონ იყო და ჩჩვლ მისდადმდე, ხოლო აწ მის მიერ აღზრდილი ერი მისითავე მაღლითა მტკიცისა საზრდელისა მოქენე იქმნაო“ (ეფრემ მცირე, გრიგოლ ნაზიანზელის კრებ. ანდერძი). თუმცა კი, ეფრემ მცირე არ უგულებელყოფს მარტივი და ლიტონი განმარტებების თარგმანთა მიწოდებას მკითხველისათვის და მიიჩნევს, რომ რთულ და ვრცელ განმარტებებთან ერთად, რომლებიც „უღრმესად გამომეძიებელთათვის“ არის დანიშნული, „მარტივი და

ლიტონიც“ საჭიროა მარტივთა და ლიტონთა მკითხველთათვის. ამ ტიპის „გამოკრებული“, ადაპტირებული კრებულები ბიზანტიურ მწიგნობრულ პრაქტიკაშიც უნდა არსებულიყო. ამას ეფრემ მცირის წინასიტყვაობაც მოწმობს, დართული წმ. იოანე დამასკელის ზემოთ დასახელებული სამნაწილიანი შრომის „საფილოსოფიო თავებისათვის“: „წინამძღუარ“ მასვე წმიდისა მამისა ეფთვმეს თარგმნილსა სახელ-ედებოდენ, რამეთუ იგი ამისგანვე გამოკრებულ არს, ხოლო ესე არა უწყი, თუ თვთ მამასა ეფთვმის გამოუკრებია, ანუ ბერძულად ესრეთ უპოვნია, რამეთუ სხუანნი წიგნნი გამოკრებულნი, ვითარ-იგი არს „მარგალიტი“ და „ყუავილ-კრებული“ და სხუანი მსგავსნი მათნი ბერძულად ეგრეთვე გამოკრებულნი არიან“ („დიალექტიკა“).

ამგვარად, XI საუკუნისათვის მტკიცე საზრდელის მისაღებად მზად იყო ქართველი ერი და ეფრემ მცირე წმ. იოანე დამასკელის „ცოდნის წყაროს“ უკვე სრულად, „საფილოსოფიო“ თავე-

#568

ბითურთ თარგმნის „გარდამოცემასთან“ ერთად (მაშინ, როცა წმ. ეფთვმეს თავის დროზე ეს თავები არ უთარგმნია), ასევე, წმ. მამათა ვრცელ განმარტებებს ურთავს მის მიერ რედაქტირებულ „დავითნის“ გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანს, სრულად თარგმნის წმ. იოანე ოქროპირის ჰომილიებს, რომლებიც მკითხველისათვის ვრცელ კომენტარებს საჭიროებენ; დაბოლოს, თარგმნის დიონისე არეოპაგელის ოთხივე თხზულებას მაქსიმე აღმსარებლისა და გერმანე კონსტანტინეპოლელის განმარტებითურთ.

ამგვარად, XI საუკუნიდან შავ მთაზე ქართველ მოღვაწეთაგან იწყება ფილოსოფიური და თეოლოგიური ლიტერატურის ათვისება და თარგმნა-კომენტირება, რაც შემდგომ გრძელდება და ღრმავდება გელათის საღვთისმეტყველო-ლიტერატურულ სკოლაში. რადგანაც ბერძნულ ენაშივე ტერმინთა პოლისემია და გაურკვეველობა („ბერძენთა ენად უფსკრულ ღრმა არს და იგივე და ერთი სიტყუად მრავალსა პირსა აღიარებსო“), ხოლო ხშირად ანტიკური ფილოსოფიური ტერმინების სხვაგვარი (ზოგჯერ სრულიად საპირისპირო) გაგება ქრისტიანულ დოგმატიკაში ხშირად მწვალებლობის მიზეზი და ცხარე საეკლესიო დისკუსიების საბაზი ხდებოდა (საკმარისია დავასახელოთ ὁσθα, არსება და ὑπάρστασις „გუამი, პირი“) და ასევე, რადგანაც ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგია მოითხოვდა დახვეწა-დაზუსტებას, გაიზარდა მოთხოვნილება ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო ხასიათის თხზულებათა ზუსტი, ადეკვატური თარგმანისა.

ზუსტი თარგმანის მოთხოვნილების სხვა მიზეზი იყო ბერძენთა ბრალდებები ქართველების მიმართ, თითქოსდა არასრულყოფილი თარგმანების გამო. კვლავ ეფრემ მცირე წერს თავის ერთ ანდერძში, რომ ამის გამო „გუაყუედრებდეს ბერძენნი და მათთა ყუედრებათაგან ბერძენ კვრილუ (კვრიკე) ალექსანდრიელმან მრავალთა წელთა მძლავრა და კადნიერ-მყო მე ახლად თარგმანად „სადღესასწაულოთაო“ (ეფრემ მცირე).

ეს დიდი მოღვაწე ხშირად შენდობას ითხოვს იმის გამო, რომ თავის მასწავლებელთა — „პირველდამაშურალთა თარგმანთა (რომელთაგან განვისწავლებითო), ნამუშაკვეის „გამოძიება“ უხდება, მაგრამ იძულებულია დაზუსტება-შესწორებანი შეიტანოს მათში, რადგანაც „ბერძულისათვის რომ არ შემეძარა, თარგმანი სიტყვსაჲ გაირყუნებოდა და შემდგომნი მეცნიერნი ბერძულისანი მბრალობელ გუექმნებოდეს გამოუძიებელად დაწერისათჳს სიტყუათაჲსაო“ (ეფრემ მცირე, სამოციქ.).

ეფრემ მცირის ამ სიტყვებს რეალური საფუძველი ჰქონდა: ბერძნები ხელსაყრელ შემთხვევას არ უშვებდნენ, რომ ქართველები განედევნათ მონასტრებიდან (ამას თუნდაც თვითმხილველი გიორგი მცირის მონათხრობიც ადასტურებს: „კაცნი ვინმე სჳმეონწიდელნი შურითა საეშმაკოდთა აღიძრნეს ჩუენ ქართველთა ზედა და ენება, რადთამცა ნათესავი ჩუენი ძირითურთ აღმკვხურეს სჳმეონწმიდითა და განიზრახეს გუაძრნილებით, რადთა ბიწი რადმე დასწამონ და ესრეთცა სრულიად აღმოფხურნეს დიდებულისა ამის ლავრისა, პირველითგან თჳთ მის წმიდისა სჳმეონის მიერ დამკვდრებულნი“, რასაც, სხვათა შორის, წმ. გიორგი ათონელის ბრწყინვალე გამარჯვება მოჰყვა ანტიოქიის პატრიარქ თეოდოსთან დისკუსიაში).

ამგვარად, ბერძნულ დედნებთან ზედმიწევნითი დაახლოების მოთხოვნის ერთ-ერთი მიზეზი იყო დიდ ბიზანტიურ კულტურასა და მწიგნობრობასთან გათანასწოებისაკენ მისწრაფება, რაც პრაქტიკული მწიგნობრული მიზნებითაც იყო განპირობებული: კერძოდ იმით, რომ შეენარჩუნებინათ ქართული სამონასტრო-მწიგნობრული კერების დამოუკიდებლობა და თვითმყოფადობა ბიზანტიასა თუ მის პერიფერიებში.

ამიტომ იყო, რომ შავ მთაზე დაიწყეს ძველი თარგმანების „გამოძიება“ და ბერძნულ დედნებთან შეხამება-შეჯერების გზით შესწორება ან კიდევ სრულიად ახალი თარგმანების შესრულება. ასე დაედო სათავე ე.წ. „ელინოფილურ“ მიმართულებას ქართული თარგმანის ისტორიაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტების ხელახლა თარგმნის დროს ამ მოღვაწეებს წინ ედოთ ძველი თარგმანები და მათ მისდევდნენ, რასაც მოწმობს ეფრემ მცირისა და გიორგი მთაწმიდელის არაერთი ანდერძი. გიორგი მთაწმიდელი ერთ-ერთ თავის ანდერძში, რომელიც ბასილი დიდის „ექუსთა დღეთას“ თარგმანს ერთვის, წერს: „ღმერთო, ძუელნიცა თარგმანნი აკურთხენ, დიდად ჳელნი აღმიჰყრნესო“. ხოლო ეფრემ მცირე კი, რომელმაც გიორგი მთაწმიდელის შემდეგ კიდევ ერთხელ შეუჯერა ბერძნულ რედაქციებს დავითნისა და სამოციქულოს თარგმანები და ჩაასწორა წმ. მამათა განმარტებების გათვალისწინებით (მაგრამ ისე კი, რომ ძირითად ტექსტად, კიმენად, წმ. გიორგი ათონელის თარგმანი დატოვა და შესწორებები „კიდესა სტიქონისასა“ გაიტანა, რათა „არა ჳელმეორედ თარგმნილად შერაცხილიყო წიგნი სამოციქულოდ“), ამ უკანასკნელისთვის დართულ ანდერძში აღნიშნავს, რომ „წმ. მამასა ჩუენსა, გიორგის, არა ეგეოდენ სხჳსა რადსმე მიზეზისაგან, რაოდენ ძუელისავე პავლისა წაყოლისაგან დაუტეობია, რამეთუ პირველნი „დავითნიცა“, რომელ ახლად ეთარგმნნეს, მრავალი სიტყუაჲ ძუელისა ჩუეულებისადა მიეყვანა“ (ეფრემ მცირე, სამოციქ.).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთ-ერთი მიზეზი ძველი თარგმანების „გამოძიებისა“ იყო ის, რომ „ბერძენთა ენა უფსკრულ ღრმა არს და იგივე და ერთ სიტყუად მრავალთა პირსა აღიარებსო“. სწორედ ასეთი ადგილები წმ. წერილისა, რომელნიც „მრავალსა პირსა აღიარებდა“, ანუ მრავალგვარად შეიძლებოდა გაგებულიყო, საჭიროებდა წმ. მამათა განმარტებების დართვას. სწორედ ასეთ ადგილებს „ზედამიწევნით გამოიკულებს

#569

წმიდა იოვანე ოქროპირი და განცხადებულად უეჭუელ-ჰყოფს ვითარებასა მისსა. ამათ ესევიტართა ღრმათა ადგილთა, სადაცა უკმა შეცვალეზა და სხუებრ ცუალეზად სიტყუასა სამოციქულოსა ქართულსა, რომელი მაშინდა გულისხმა-იყოფებოდის, ოდეს სამნი, გინა ოთხნი თარგმანნი პავლისანი და ეგეოდენნივე ლექსიკონნი შემოვიკრიბნი, მაშინდა ძლით მოუპოვო ქართული შემსგავსებული სიტყუად“ (ეფრემ მცირე, სამოციქ.); ან: „რაოდენნიცა იყვნეს წიგნის საცავსა სჯემონწმიდისასა თარგმანნი დავითისნი, ყოველნივე დედად მქონდეს და ფრიადითა შრომითა მათ ყოველთაგან ერთად შევაერთე, რომელი ოდენ იპოებოდა მათ შინა მართლმადიდებელთა მიერ თარგმანებული“ (ეფრემ მცირე, ფსალმ. თარგმ.).

შავ მთაზე, ეფრემ მცირესთან ეუფლებოდა გამოწვლილვითი, ზედმიწევნითი თარგმანის ხელოვნებას არსენი იყალთოელი, რომელიც ამასთანავე „ძალ-მწე და განმადლიერებელი“ იყო მოძღვრისა წმ. იოანე დამასკელის თარგმნის დროს. ეფრემ მცირის მიერ შავ მთაზე დანერგული ეს წესი - ტექსტის თარგმანთან ერთად მისი კომენტარებისა - გელათის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლის ძირითად მიზნად და მიმართულებად იქცა.

გავა დრო და გელათის საღვთისმეტყველო-მთარგმნელობითი სკოლის უდიდესი წარმომადგენელი, იოანე პეტრიწი, ეფრემ მცირისაგან განსხვავებით, რომელსაც ქართველ „ულუმპიელთა“ ნამუშაკვეში რიდითა და კრძალვით შეჰქონდა შესწორებები, რათა ბერძნებსა და ბერძნულის მცოდნეთ ბრალი არ დაედოთ „გამოუძიებლად“ თარგმნის გამო, იტყვის: „მრცხუნის მე, თვთ მის ჭემმარიტებისაგან, აქამთ წარსულსა და მკუდარსა, რამეთუ არსთა წილ არათა გარდმოვანებდეთ“.